მძიმე ბრძოლის შემდეგ

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 7 ოქტომბერი. ელექტრონული განათება. 14 გრადუსი. 50 000 მაყურებელი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) _ “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:1).

გოლები:, ილიადი (25) – 0:1, კორშუნოვი (79) – 1:1

ლობანოვსკიმ (“ჩერნომორეცი”) ვერ გაიტანა პენალტი (26)

“ჩერნომორეცი”: ურალეცი, არხიპენკო, პოპიჩკო, ზაბოლოტნი, მოსკალენკო, დერიაბინი, პარკუიანი, კანევსკი, ლობანოვსკი (კორშუნოვი -66).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია (მაისურაძე - 69), იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი); გვერდითი მსაჯები ს. Bელიაევი, ულიანკინი (ყველა მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:0 “ჩერნომორეცის” სასარგებლოდ.

ჩემი აზრით, იშვიათად რომ საფეხბურთო ტურნირებში შეიქმნას ისეთი დაძაბულობა ცხრილის ქვედა ნახევარში მყოფი გუნდებისთვის, როგორიც ახლაა. რა თქმა უნდა, გასაგებია თბილისელთა განწყობილება მატჩის მოსაგებად, ვინაიდან შარშანდელი ჩემპიონი საკმაოზე მეტი მანძილითაა დაცილებული მისი მაღალი ტიტულის შესაფერის ადგილს. მაგრამ კიდევ უფრო მეტი სტიმული თუნდაც 1 ქულის ასაღებად ჰქონდათ ოდესელ ფეხბურთელებს, რომლებიც ჯერ კიდევ სახიფათო ზონაში იმყოფებიან. ოდესის ერთი გუნდის _ სკა-ს საკითხი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია. უძლიერესთა ჯგუფს სავალალო ბედის თავიდან ასაცილებლად იბრძვის ოდესის მეორე გუნდი - ”ჩერნომორეცი” და თითოეულ ქულას მისთვის უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჯერ კიდევ მატჩის ¿სადებიუტო ნაწილი მიმდინარეობდა, როცა ორივე კართან რამდენიმე სახიფათო ¿მომენტი შეიქმნა და გოლის გატანას აკლდა “მცირე რამ” _ ფორვარდებს ზუსტი გადამწყვეტი დარტყმა. ხელსაყრელი ვითარება ¿ვერ გამოიყენეს პარკუიანმა და მოსკალენკომ. ამას, საპასუხო “თავაზიანობა” მოჰყვა დათუნაშვილისა და ბარქაიას მხრივ.

მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა ასეთი რეალური მომენტები დაკარგეს, მოულოდნელობის ხასიათი ჰქონდა ილიადის მიერ 25-ე წუთზე გატანილ გოლს. მან დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ანაზდად ძლიერად დაარტყა კარში და ურალეცი იძულებული გახდა ბადიდან გამოეტანა ბურთი _ 1:0.

თითქმის მაშინვე მიიღო “ჩერნომორეცმა” ანგარიშის გათანაბრების ნაღდი შესაძლებლობა _ ჩემპიონის კარში დაინიშნა პენალტი. უმაღლესი სასჯელის აღსრულების უფლება ოდესელებმა მიანდვეს “დაზარალებულ” ლობანოვსკის, მაგრამ ოდესელმა უხეიროდ დაარტყა და ურუშაძემ აიღო ბურთი.

მეტისმეტად დაიძაბა ბრძოლა მეორე ტაიმში და მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 11 წუთი, ოდესელებმა თავი დააღწიეს მარცხს. ბურთი შორი მანძილიდან გაიტანა კორშუნოვმა _ 1:1.

ბ. კრიკუნი.

“ლელო”, 9 ოქტომბერი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 8.10.65.